



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია  
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის  
თავმჯდომარე

**განკარგულება №45/2018**

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში პარტიის  
წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ

ქ. თბილისი

2018 წლის 10 აგვისტო

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 42-ე მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტების, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-10 პუნქტისა და საარჩევნო სუბიექტის „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ მიერ 2018 წლის 10 აგვისტოს წარმოდგენილი განცხადებების (ცესკოში რეგისტრაციის №2032; №2042) საფუძველზე, ვადგენ:

**მუხლი 1.** რეგისტრაციაში გატარდეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საარჩევნო სუბიექტის „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ წარმომადგენლის ვლადიმერი ლომსაძის ნაცვლად ხათუნა გოგორიშვილი.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია